თამარ მერაბიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების დოქტორანტი
ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის აფილირებული ასისტენტ-პროფესორი
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი

აგრესიის კვლევა და ტიპოლოგია

ანოტაცია

სტატია ეხება აგრესიის ფორმების, ვექტორებისა და ინტენსივობის კვლევას ტიპოლოგიის ჭრილში.
ტიპოლოგიის კვლევისთვის მოვიაზრეთ კ. იუნგის მიერ შემოტანილი და ჰ. აიზენკის მიერ ექსპერიმენტულად დამუშავებული ინტროვერსია-ექსტროვერსიის ტიპოლოგია. ინტროვერსია-ექსტროვერსია არის კონტინუმი, სადაც თითოეული ადამიანი კონკრეტულ წერტილზე განთავსდება. ამის შესაბამისად, სკალაზე 7 ჯგუფი გამოიყოფა: ტიპური ინტროვერტი, ძლიერად გამოხატული ინტროვერტი, სუსტად გამოხატული ინტროვერტი, შერეული ტიპი, სუსტად გამოხატული ექსტროვერტი, ძლიერად გამოხატული ექსტროვერტი და ტიპური ექსტროვერტი.
აგრესიის შესასწავლად ავიღეთ ბასისა და დარკის კვლევის ინსტრუმენტი, რომელიც სწავლობს სხვადასხვა ფორმის, ინტენსივობისა და ვექტორის აგრესიას. გამოიყოფა აგრესიის 8 ფორმა. აქედან ჰეტეროაგრესიის ფორმებია: ფიზიკური, ირიბი, ვერბალური აგრესია და ნეგატივიზმი, ხოლო აუტოაგრესიის ფორმებია: გაღიზიანება, ეჭვიანობა, წყენა და დანაშაულის განცდა.
ინტერესიდან გამომდინარე, კვლევის ჰიპოთეზაა: ექსტროვერტი გამოხატული, გარეთ ორიენტირებული ტიპია, ამიტომ მისთვის გარე ვექტორის აგრესია (ჰეტეროაგრესია) უნდა იყოს დამახასიათებელი, ხოლო ინტროვერტი, რომელიც შიგნით ორიენტირებული ტიპია, მისთვის აგრესიის ვექტორი შიგნით უნდა იყოს მიმართული (აუტოაგრესია).
კვლევის შედეგად ნაწილობრივ გამართლდა ჩვენი ჰიპოთეზა. ექსტროვერსიისთვის ტენდენციურია ჰეტეროაგრესიის ყველა ფორმა: ფიზიკური, ირიბი, ვერბალური აგრესია და ნეგატივიზმი. ტიპების მიხედვით სხვაობა დადგინდა t-test-ითა და დისპერსიული ანალიზით, ასევე აშკარად გამოჩნდა აღნიშნული ტენდენცია კორელაციური ანალიზითაც. რაც შეეხება ინტროვერსიას, მიუხედავად იმისა, რომ ინტროვერტებისთვის წამყვანია აუტოაგრესიის შემდეგი ფორმები: გაღიზიანება და დანაშაულის განცდა, ტიპებს შორის t-test-ით მხოლოდ ერთ ჯგუფში მივიღეთ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გაღიზიანების თვალსაზრისით ინტროვერტების მხარეს, დანაშაულის განცდის მიხედვით კი – არა. აღმოჩნდა, რომ დანაშაულის განცდა ზოგადად მაღალია ორივე ტიპისთვის ნორმატიულ მაჩვენებელთან მიმართებაში.

საკვანძო სიტყვები: ტიპოლოგია, ექსტროვერსია-ინტროვერსია, აგრესია, ჰეტეროაგრესია, აუტოაგრესია.

შესავალი

პიროვნების მთლიანობითი ბუნების შესწავლა, უპირველეს ყოვლისა, ტიპოლოგიის

გაგებასთან არის დაკავშირებული. არსებული მრავალი ტიპოლოგიიდან გამოვყოფთ შვეიცარიელი ფსიქოლოგის კ. იუნგის მიერ შემოტანილ ექტროვერსია-ინტროვერსიის ტიპოლოგიას, რადგან მას აქვს ყოველდღიური, პრაქტიკული გამოყენება ფსიქოდიაგნოსტიკის, ფსიქოთერაპიის, პროფესიული შერჩევის ამოცანების გადაწყვეტისას.

აღნიშნულ ტიპოლოგიასთან დაკავშირებით არსებულ მრავალ კვლევათა რიგს გვსურს შევმატოთ სიახლე და შევისწავლოთ ტიპების ნევროტულობის სტატუსი: ვიკვლიოთ აგრესიის ფორმები, ვექტორები და ინტენსივობა ტიპებთან მიმართებაში.[1]

აღსანიშნავია, რომ აგრესიის პრობლემატიკა ნევროტულობის და ფსიქიკური აშლილობის დროს ყველა შემთხვევაში შემხვედრი გამოხატულებაა, ამიტომ, როცა ტიპების ნევროტიზაციაზე ვსაუბრობთ, მისი როლი ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებული იქნება.

აღნიშნული საკითხის კვლევას აქვს მნიშვნელოვანი პრაქტიკული და მეცნიერული ღირებულება, რადგან გვაძლევს ახალ ინფორმაციას ტიპებზე. მაგალითად, ფსიქოთერაპიული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ინტროვერტები უფრო ხშირად მიდიან ფსიქოთერაპიაზე, ვიდრე ექსტროვერტები. ვითომ მათი ნევროტიზმის დონე ექსტროვერტებზე მაღალია? ეს ფაქტი შესაძლოა დამოკიდებული იყოს ტიპების მახასიათებლებზე. ექსტროვერტები თავიანთი ექსპრესიულობით, აქტიური კომუნიკაციით, როგორც ჩანს, მეტად ახერხებენ ემოციურ განმუხტვას და ყურადღების გადატანას, რასაც ვერ ვიტყვით ინტროვერტებზე. ეს უკანასკნელნი საკუთარ სამყაროზე ორიენტირებული, უფრო ჩაკეტილი ტიპები არიან, რომლებიც ვერ შეძლებენ ამ დოზით სხვა ადამიანებზე და გარემოზე ყურადღების გადატანას, ემოციების ექსპრესიას. ექსტროვერტებისთვის ჰეტეროაგრესიის, ხოლო ინტროვერტებისთვის აუტოაგრესიის არსებობის ალბათობა შესაძლებელია მნიშვნელოვან წყაროს ქმნიდეს, რომ ინტროვერტებისთვის ნევროტულობა უფრო შემაწუხებელია.

ძირითადი ნაწილი

შვეიცარიელმა ფსიქოლოგმა კ. იუნგმა შემოიტანა ინტროვერსია-ექსტროვერსიის ცნებები. ინგლისელმა ფსიქოლოგმა ჰ. აიზენკმა კი ექსპერიმენტული მუშაობის შედეგად გამოყო ადამიანის თანდაყოლილი 3 პოლარული მახასიათებელი, რომლებიც 3 სკალაზე განთავსდა: ექსტროვერსია-ინტროვერსია, ნევროტიზმი-სტაბილობა და ფსიქოტიზმი-ძლიერი სუპერეგო. ამის მიხედვით, თითოეული ადამიანი სამივე კონტინუუმზე კონკრეტულ ადგილს იკავებს.

აღნიშნული შეხედულების მიხედვით ადამიანები ან ექსტროვერტები არიან ან ინტროვერტები. პირველნი, გარეთ, ობიექტური სამყაროსკენ მიმართული ტიპები არიან და ხასიათდებიან შემდეგი ნიშნებით: მოუსვენარი, აგრესიული, იმპულსური, ოპტიმისტი, აგზნებადი, აქტიური, გულღია, მხიარული, მოლაპარაკე, უზრუნველი, ლიდერობის მოყვარული და სხვა.

ექსტროვერტის საწინააღმდეგო პოლუსზე დგანან ინტროვერტები. ისინი შიგნით, საკუთარი სულიერი სამყაროსკენ მიმართული ტიპები არიან და ახასიათებთ ისეთი თვისებები, როგორიცაა: სიწყნარე, სიმშვიდე, სიდინჯე, პესიმიზმი, თავშეკავებულობა, პასიურობა, გულჩათხრობილობა, მოწყენილობა, სიტყვაძვირობა და ა.შ. [მერაბიშვილი, 1998:149]

კონკრეტული ადამიანის თუ მთელი საზოგადოების არაჯანსაღი, ძალადური ქმედება აგრესიითააგანპირობებული. აგრესიულიამანიაკისქცევა, რომლისთვისაცჰობიაქალებისმოკვლა. მაგრამ ასეთივე აგრესიულად თვლიან ბურთისათვის მებრძოლი ფეხბურთელის, ენერგიული ბიზნესმენის თუ მათემატიკოსის საქმიანობას. [მერაბიშვილი1, მერაბიშვილი2,2021:118] ამის შესაბამისად, ლიტერატურაში საუბარია კონსტრუქციულ და დესტრუქციულ აგრესიაზე. ქცევის ფორმისა და ღიაობის მიხედვით გამოყოფენ: ფიზიკურ-ვერბალურ, აქტიურ-პასიურ, პირდაპირ-

1 ექსტრავერსია-ინტროვერსიის ტიპოლოგიასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით შემდეგ კვლევებს: ყურადღების კონცენტრაციის, ინტელექტის შესწავლა, სწავლასა და საქმიანობაში ეფექტურობის კვლევა, პირობითი რეფლექსებისა და სენსორული შეგრძნებების შესწავლა, ოჯახური და სქესობრივი ცხოვრების კვლევა, შფოთვის შესწავლა და ა.შ.

ირიბ აგრესიას (Buss, 1961). მიზნის მიღწევის თვალსაზრისით იკვეთება ინსტრუმენტული და მტრული აგრესია (Feshbach, 1964)[1]. მიზეზებიდან გამომდინარე გამოიყოფა რეაქტიული და პროაქტიული აგრესია (Dodge, Coie, 1987). ხოლო ვექტორული მიმართულების თვალსაზრისით გამოკვეთენ ჰეტერო და აუტოაგრესიის ფორმებს. [Ильин, 2014:18-22]

საინტერესოა, რომ აგრესია, როგორც მახასიათებელი, ექსტროვერსიის თვისებათა აღწერაშია მოცემული, ხოლო ინტროვერსიაზე ამ მხრივ საერთოდ არ არის საუბარი. ამ ფონზე მნიშვნელოვანია, ვისაუბროთ აგრესიის გამოვლენის ორ ფორმაზე: გარეთ და შიგნით მიმართულ აგრესიაზე (ჰეტერო და აუტოაგრესია). როცა აგრესია გამოხატულია და ჩანს, არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ასეთ დროს გვაქვს სახეზე, ის შესაძლოა გარეგნულად არ ჩანდეს, მიმართულების ვექტორი შიგნით იყოს წარმართული და ვლინდებოდეს შიშებში, აკვიატებულ ქმედებებში, ფსიქოსომატურ ჩივილებში და ა.შ. ინტროვერტის მახასიათებლები, სიდინჯე და გაწონასწორებულობა გარეგნულად სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის აგრესიისაგან თავისუფალია.

აღნიშნული ინტერესიდან გამომდინარე, გამოვკვეთეთ ჩვენი კვლევის ჰიპოთეზა: ექსტროვერტი გამოხატული, გარეთ ორიენტირებული ტიპია, ამიტომ მისთვის გარე ვექტორის აგრესია (ჰეტეროაგრესია) უნდა იყოს დამახასიათებელი, ხოლო ინტროვერტი, რომელიც შიგნით ორიენტირებული ტიპია, მისთვის აგრესიის ვექტორი შიგნით უნდა იყოს მიმართული (აუტოაგრესია).

კვლევის მეთოდებად გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის აპრობირებული და სტანდარტიზებული კვლევის ინსტრუმენტები:

1) აიზენკის ტიპოლოგიის და ნევროტულობა – სტაბილობის განმსაზღვრელი კითხვარი [Eysenck Personality Questionnaire (EPQ)] არკვევს ექსტრავერსია – ინტროვერსიის დონეს და ნევროტულობა – სტაბილობის დონეს; აიზენკის კითხვარის ადაპტაცია -სტანდარტიზაცია (არუთინოვი ლ; გრიგოლავა ა.) [თეზისები, 1999:9]
2) აგრესიის კვლევის კითხვარი [Buss and Dark Aggression Research Test] არკვევს აგრესიის დონეს, ინტენსივობას და მიმართულების ვექტორებს; ბასისა და დარკის აგრესიის საკვლევი კითხვარის ადაპტაცია – სტანდარტიზაცია (არუთინოვი ლ; გრიგოლავა ა.) [თეზისები, 1999:6]

კვლევის აღწერა და დამუშავება

ჩვენს კვლევაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ასაკისა და სქესის 260-მა ზრდასრულმა, პრაქტიკულად ჯანმრთელმა რესპოდენტმა.

[1] **ინსტრუმენტული აგრესია** დაგეგმილი, პროაქტიული აგრესიული აქტია, რომელიც დაკავშირებულია მიზნის მიღწევასთან. მაგ., მეტოქის ჩამოცილება. **მტრული აგრესია** წარმოადგენს იმპულსურ, არაკონტროლირებად, დაუგეგმავ, აფექტურ აგრესიულ აქტს, რომელიც დაკავშირებულია ემოციურ განმუხტვასთან.

საშუალოთა გადანაწილება ექსტროვერსია-ინტროვერსიის მიხედვით; ტ-ტესტი, დისპერსიული ანალიზი, კორელაციური ანალიზი

ტიპი / პარამეტრი	ტიპიური ინტროვერტი	ძლიერად გამოხატული ინტროვერტი	სუსტად გამოხატული ინტროვერტი	შერეული ტიპი	სუსტად გამოხატული ექსტროვერტი	ძლიერად გამოხატული ექსტროვერტი	ტიპიური ექსტროვერტი
ნევროტიზმი	13,3	12,9	13,2	12	13,5	12,9	15
ფიზიკური აგრესია	3,1	5	4,9	5,4	5,5	6,1	8,1
ირიბი აგრესია	4,7	4,8	5,1	4,4	5,3	5,7	5,9
გაღიზიანება	5,3	6	5,9	5,2	6	5,1	6,4
ნეგატივიზმი	2,6	2,3	2,6	2,6	2,8	3,2	3,4
წყენა	4,6	4,5	4,1	3,9	4,3	4	4
ეჭვიანობა	4,7	4,2	4	3,4	4,1	3,8	4,7
ვერბალური აგრესია	5,6	6,5	7,1	7,3	8	8,5	11,7
დანაშაულის განცდა	7,1	6,6	6,4	6,3	6,2	6,5	7,4

აღნიშნულ ცხრილში მოცემულია შვიდივე დონის ტიპის საშუალოთა გადანაწილება ყველა პარამეტრის მიხედვით და ნაჩვენებია სანდო განსხვავებები ტიპიურ ექსტროვერტ-ინტროვერტს, ძლიერად გამოხატულ ექსტროვერტ-ინტროვერტს და სუსტად გამოხატულ ექსტროვერტ-ინტროვერტს შორის t-test-ითა და დისპერსიული ანალიზით.

მონაცემებიდან ჩანს, რომ ტიპიურ ინტროვერტსა და ექსტროვერტს შორის t-test-ით მიღებული სანდო განსხვავებები გვაქვს ფიზიკური და ვერბალური აგრესიის თვალსაზრისით. მიღებული მონაცემები ნაწილობრივ ამართლებს ჩვენი კვლევის ჰიპოთეზას, რომ ექსტროვერტებისთვის მეტად არის დამახასიათებელი ჰეტეროაგრესიის ფორმები ინტროვერტებთან შედარებით.

ძლიერად გამოხატულ ინტროვერტსა და ექსტროვერტს შორის სანდო სტატისტიკური განსხვავებები დადასტურდა ირიბი აგრესიის, ნეგატივიზმის და ვერბალური აგრესიის თვალსაზრისით. ამ მახასიათებლებით კვლავ ნაწილობრივ დადასტურდა ჩვენი ჰიპოთეზა. ირიბი აგრესია, ნეგატივიზმი და ვერბალური აგრესია ჰეტეროაგრესიის ფორმებია, რომლებიც ექსტროვერტებში უფრო გამოხატული და მაღალი დონისაა, ვიდრე ინტროვერტებში.

სუსტად გამოხატულ ინტროვერტსა და ექსტრავერტს შორის t-test-ით სანდო სტატისტიკური განსხვავებები მივიღეთ ვერბალურ აგრესიასთან მიმართებაში.

ზემოთ აღნიშნული ცხრილის შედეგების გარდა, ასევე ვიკვლიეთ შიდა ჯგუფები და შემდეგი მონაცემები მივიღეთ: ტიპურ ინტროვერტებსა და ძლიერად გამოხატულ ექსტროვერტებს შორის t-test-ით სანდო მნიშვნელობის მქონე განსხვავებაა ვერბალური აგრესიის მონაცემით.

ტიპურ ინტროვერტსა და სუსტად გამოხატულ ექსტროვერტს შორის განსხვავებებს ვხვდებით ფიზიკური და ვერბალური აგრესიის თვალსაზრისით.

ძლიერად გამოხატულ ინტროვერტებსა და ტიპურ ექსტროვერტებს განასხვავებს ფიზიკური, ვერბალური აგრესია და ნეგატივიზმი ექსტროვერსიის სასარგებლოდ.

ძლიერად გამოხატულ ინტროვერტებსა და სუსტად გამოხატულ ექსტროვერტებს შორის აქცენტი შეგვიძლია გავაკეთოთ ექსტროვერტების სასარგებლოდ მაღალ ვერბალურ აგრესიაზე.

სუსტად გამოხატულ ინტროვერტებსა და ტიპურ ექსტროვერტებს შორის ასევე სახეზე გვაქვს სანდო განსხვავებები შემდეგი პარამეტრების მიხედვით: ფიზიკური აგრესია, ნეგატივიზმი, ვერბალური აგრესია, ანუ ჰეტეროაგრესია ექსტრავერსიის მხარეს.

სუსტად გამოხატულ ინტროვერტებსა და ძლიერად გამოხატულ ექსტროვერტებს შორის χგუფებშიც მსგავსი ტენდენციაა. T-test-მა აჩვენა მნიშვნელოვანი განსხვავება ჰეტეროაგრესიის ფორმებს შორის: ფიზიკური აგრესია, ნეგატივიზმი, ვერბალური აგრესია. ამ χგუფში აღსანიშნავია გაღიზიანების მაჩვენებლები: ინტროვერტებში უფრო მაღალია გაღიზიანების დონე, ვიდრე ექსტროვერტებში და ეს სხვაობა სტატისტიკურად სანდოა. ეს ფაქტორი ნაწილობრივ ამართლებს ჩვენს პირველ ჰიპოთეზას, სადაც საუბარი გვქონდა ინტროვერტებთან უფრო აუტოაგრესიის გამოხატულ ფორმებზე. თუმცა ზოგადად ეს ტენდენცია კვლევამ არ დაადასტურა. არც დისპერსიულმა ანალიზმა და არც კორელაციურმა ანალიზმა არ გვიჩვენა, რომ ინტროვერტებისთვის უფრო მეტად არის დამახასიათებელი აუტოაგრესიის ფორმები, როგორიცაა: გაღიზიანება, წყენა, ეჭვიანობა, დანაშაულის განცდა.

აღსანიშნავია, რომ საინტერესო შედეგი მივიღეთ დანაშაულის განცდის მაჩვენებლის თვალსაზრისით. დანაშაულის განცდა აუტოაგრესიის ფორმაა. აღნიშნულ სკალაზე გამოვყავით 3 დონე და ცდისპირთა 73,5%-მა მაღალი დონის ბრალეულობის განცდა აჩვენა. აღნიშნული შედეგი მნიშვნელოვნად აღემატება დანაშაულის განცდის ნორმატიულ მაჩვენებელს (3.8 – დაბალ და საშუალო დონეებს შორის) (დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი; ბასი და დარკის აგრესიის საკვლევი კითხვარის ადაპტაცია-სტანდარტიზაცია (არუთინოვი ლ., გრიგოლავა ა.)). [თეზისები, 1999:6] როგორც ვხედავთ, 90-იანი წლების შემდეგ, ჩვენს საზოგადოებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა დანაშაულის განცდის დონე. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენი კვლევის მიხედვით, გაზრდილი დანაშაულის განცდის დონე დამახასიათებელი აღმოჩნდა არა მხოლოდ ინტროვერტებისთვის, არამედ ექსტროვერტებისთვისაც. მათ შორის კი t-test-ითა და დიპერსიული ანალიზით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ დადგინდა.

დისპერსიული და კორელაციური ანალიზით ცალსახად დამტკიცდა ჩვენი ჰიპოთეზის პირველი ნაწილი, ექსტროვერტებისათვის ჰეტეროაგრესიის დამახასიათებლობა: ფიზიკური აგრესია, ირიბი აგრესია, ნეგატივიზმი, ვერბალური აგრესია. კორელაციური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ექსტროვერსია დადებით კორელაციაშია ფიზიკურ, ირიბ, ვერბალურ აგრესიასთან და ნეგატივიზმთან, ანუ რაც უფრო იზრდება ექსტროვერსიის დონე, მით უფრო მაღალია ჰეტეროაგრესიის ყველა ფორმა. თუმცა არ გვიჩვენებს უარყოფითი კორელაციის არსებობას აუტოაგრესიის ფორმებთან. ასევე ექსტროვერსია-ინტროვერსიის სკალებზე დისპერსიულმა ანალიზმაც გამოავლინა სანდო სტატისტიკური განსხვავება იგივე მახასიათებლებზე: ექსტროვერტებსა და ინტროვერტებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა ფიზიკური აგრესიის, ნეგატივიზმისა და ვერბალური აგრესიის თვალსაზრისით.

საინტერესო იქნება, ვისაუბროთ აუტოაგრესიის ფორმებზე, ზემოთ აღნიშნული χგუფის გარდა, რატომ არ აღმოჩნდა ტენდენციური სანდო განსხვავებები აუტოაგრესიის მხრივ ექსტროვერტებსა და ინტროვერტებს შორის? აღსანიშნავია, რომ აუტოაგრესიის ფორმების მხრივ, ექსტროვერტებთანაც და ინტროვერტებთანაც სახეზე გვაქვს მეტწილად საშუალო და მაღალი ინტენსივობა, დანაშაულის განცდის მაღალი დონე, წყენის საშუალო დონე, გაღიზიანებისა და ეჭვიანობის მეტწილად საშუალო დონე. უნდა აღინიშნოს, რომ ნევროტული სიმპტომატიკის პირობებში აგრესია ყველა შემთხვევაში შემხვედრი გამოხატულებაა. ჩვენს კვლევაშიც კორელაციურმა ანალიზმა დაადასტურა, რომ აგრესიის ფორმებიდან ნევროტიზმი დადებით კორელაციაშია ფიზიკურ, ირიბ აგრესიასთან, გაღიზიანებასთან, წყენასთან, ეჭვიანობასთან, ვერბალურ აგრესიასთან და დანაშაულის განცდასთან, ფაქტიურად ყველა

ფორმის აგრესიის ჯგუფთან. კვლევის მონაცემებით ნევროტიზმის საშუალო დონე გვაძლევს ტიპებში აგრესიის ფორმების თვალსაზრისით ზემოთაღნიშნულ უმეტესად საშუალო და მაღალ დონეს. მაშასადამე, ექსტროვერტებთან აუტოაგრესიის ფორმები დაახლოებით ინტროვერტების აგრესიის დონისაა, მეტწილად საშუალო და მაღალი ინტენსივობის, თუმცა ექსტროვერტები იოლად ახერხებენ გადასვლას შიგნიდან გარეთ, აგრესიის ვექტორი უფრო იოლად ინაცვლებს აუტოაგრესიიდან ჰეტეროაგრესიის მიმართულებით, ხოლო ინტროვერტებთან აგრესიის ფორმები მნიშვნელოვანი ინტენსივობითა და ინტერვალით არ იცვლება. ამ მოცემულობის დასასაბუთებლად მოვიყვანთ გ. მერაბიშვილის მიერ ექსტროვერტებსა და ინტროვერტებზე ჩატარებულ კვლევას, რომელიც განხორციელებული იყო აღნიშნული ტიპების დინამიკური და სტატიკური განწყობების შესასწავლად კონკრეტულ სოციალურ გარემოში.

ექსპერიმენტის დასაწყისში შერჩეული და დაჯგუფებული იყო წინადადებები, რომლებიც გამოხატავდა მხიარული და მოწყენილი ხასიათის ქმედებებს. ცდისპირებს შვიდბალიან სკალაზე უნდა განელაგებინათ ბიპოლარული შესაძლო ქმედებები, რომლითაც შეაფასებდნენ განსაზღვრულ სოციალურ სიტუაციაში საკუთარ ქცევას. ინსტრუქცია ასეთი იყო: „წარმოიდგინეთ, რომ ხართ მხიარულ კომპანიაში (ქორწილი, დაბადების დღე, წვეულება, ა.შ.) და შეაფასეთ თქვენი ქცევის დონე მსგავს სიტუაციებში“. ექსპერიმენტმა აჩვენა მნიშვნელოვანი განსხვავება ექსტროვერტებისა და ინტროვერტების შეფასებებს შორის. ინტროვერტებმა მიიღეს 5,6 ბალი, ექსტროვერტებმა – 2,7. იგივე სკალა იქნა გამოყენებული როლური ქცევის შესასწავლად, სადაც კვლავ დამტკიცდა ტიპოლოგიური ხასიათი. ექსპერიმენტის პროცესში ინტროვერტებსა და ექსტროვერტებს აყენებდნენ საწინააღმდეგო სიტუაციაში და აიძულებდნენ, მიეღოთ ეს როლები. ინსტრუქცია ასეთი იყო: „წარმოიდგინეთ, რომ იმყოფებით განსაზღვრულ ჯგუფში. თუ გინდათ იქ დარჩენა, იძულებული იქნებით, იმოქმედოთ საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ. რამდენადაც შეგიძლიათ, აირჩიეთ შესაბამისი ხარისხის ქმედება“. აღნიშნულ კვლევაში ტიპოლოგია ძლიერ დეტერმინანტ ფაქტორად მოგვევლინა. შედეგად ინტროვერტებმა და ექსტროვერტებმა მაინც უფრო მეტად თავისი ტიპის შესაბამისი ქცევები გამოავლინეს თავისთვის შეუსაბამო სიტუაციებში. თუმცა აღსანიშნავია, რომ შედარებით მნიშვნელოვანი დინამიკურობა აჩვენეს ექსტროვერტებმა ინტროვერტების როლში, მათი განსვლის ხარისხი საკუთარ ბუნებრივ ქცევასა და ინტროვერტულ ქცევას შორის უფრო მაღალი იყო, ვიდრე ინტროვერტებთან და ეს სხვაობა სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა. მაშასადამე, ტიპები ზოგადად უცვლელ, მდგრად ბუნებას ავლენენ, თუმცა ექსტროვერსიაში მეტად ვხვდებით დინამიკურ განწყობას, ქცევა საწინააღმდეგო მიმართულებით მეტი ინტერვალით იცვლება. [Мерабишвили,1990:175]

მეტი თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანთ კიდევ ერთ კვლევას, სადაც ტიპები ავლენდნენ თავიანთ დამოკიდებულებას მედიცინისა და ექიმების მიმართ. ინტერვალების მეთოდით სკალა გვთავაზობდა 4 „დამარწმუნებელ ინფორმაციას“, რომლებიც გამოხატავდა ავტორიტეტის აზრს მედიცინის შესახებ (მაგ., „იუნესკოს უკანასკნელი მონაცემებით...“). ეს ინფორმაცია მოიცავდა ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებს. იმის მიხედვით, თუ რა პოზიციებს აირჩევდნენ ცდისპირები, შემდგომ ეძლეოდათ მათი პოზიციის საწინააღმდეგო ინფორმაცია. საბოლოოდ, ცდისპირებს კვლავ თავიდან უნდა შეეფასებინათ დებულებები. საინტერესო იყო, თუ რა პოზიციებს აირჩევდნენ ტიპები და ზემოქმედების შემდეგ, რამდენად შეცვლიდნენ საკუთარ პოზიციას? კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ექსტროვერტები უფრო დადებით დამოკიდებულებას ავლენდნენ მედიცინისა და ექიმების მიმართ, ვიდრე ინტროვერტები, ხოლო ზემოქმედების შემდეგ ექსტროვერტები კვლავ დარჩნენ პოზიტიურ განწყობაზე, ხოლო ინტროვერტები – ნეგატიურზე, თუმცა ის ინტერვალი, რითიც მათ შეცვალეს პოზიციები, ექსტროვერტებთან უფრო მაღალი იყო, ვიდრე ინტროვერტებთან. [Мерабишвили,1990:176]

მაშასადამე, ექსტროვერტები მეტი დინამიკურობით გამოირჩევიან და მეტი ინტენსივობით შეუძლიათ შეცვალონ საკუთარი ქცევა კონკრეტულ სიტუაციაში თუ დამოკიდებულება კონკრეტული მოვლენის მიმართ. იგივე შეგვიძლია ვთქვათ აგრესიის მიმართულებებზეც. მეტი დინამიკურობიდან გამომდინარე, ექსტროვერტები უფრო იოლად ახერხებენ აგრესიის ვექტორის

შეცვლას, აუტოაგრესიიდან ჰეტეროაგრესიისკენ და პირიქით, ხოლო ინტროვერტებთან აგრესიის ფორმები მნიშვნელოვანი ინტენსივობითა და ინტერვალებით არ იცვლება.

დისპერსიული ანალიზი ექსტროვერსია-ინტროვერსიის მიხედვით

ტიპები	დისპერსიული ანალიზით განსხვავებები
ექსტროვერსია-ინტროვერსია	ფიზიკური აგრესია ნეგატივიზმი ვერბალური აგრესია

როგორც t-test-ებიდან დავინახეთ ზოგადი ტენდენცია, საერთო დისპერსიული ანალიზითაც შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ექსტროვერსია-ინტროვერსიის ტიპების მიმართება გვაძლევს სანდო სტატისტიკურ განსხვავებებს ფიზიკური აგრესიის, ნეგატივიზმის და ვერბალური აგრესიის პარამეტრების თვალსაზრისით. როგორც თეორიულ ნაწილში აღვნიშნეთ, ექსტროვერტები გარეთ, ობიექტური სამყაროსკენ არიან მიმართულნი, იოლი აღგზნებადობითა და ექსპრესიულობით გამოირჩევიან. ახასიათებთ მკაცრი სოციალური და პოლიტიკური პოზიცია. როგორც ხელმძღვანელები, ისინი ხშირად ავტოკრატები და დესპოტები არიან. ინტროვერტები კი შიგნით, საკუთარი სამყაროსკენ მიმართული ტიპები არიან და ახასიათებთ: სიწყნარე, სიდინჯე, თავშეკავებულობა, პასიურობა. სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებს იმას, რომ ექსტროვერტებში სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მაღალია ექსპრესიული, ჰეტეროაგრესიის ფორმები.

კორელაციური ანალიზი ექსტროვერსია-ინტროვერსიის მიხედვით

ტიპები	დადებითი კორელაცია	უარყოფითი კორელაცია
ექსტროვერსია-ინტროვერსია	ფიზიკური აგრესია ირიბი აგრესია ნეგატივიზმი ვერბალური აგრესია	_

T-test-ისადადისპერსიულიანალიზისშედეგებისგანხილვისასუკვევისაუბრეთიმფაქტორებზე, რომლებიც განსაზღვრავს ამ ცხრილში გამოხატულ ტენდენციას. ექსტროვერსიისთვის დამახასიათებელია მზარდი ტენდენცია გარე ვექტორის აგრესიის ფორმების თვალსაზრისით. ექსტროვერსია დადებით კორელაციურ კავშირშია ჰეტეროაგრესიის ფორმებთან (ფიზიკური, ირიბი, ვერბალური აგრესია და ნეგატივიზმი), რაც უფრო იზრდება ექსტროვერსიის დონე, მით უფრო იზრდება ჰეტეროაგრესიის ინტენსივობა.

დასკვნა

მაშასადამე, აგრესიის კვლევა ტიპოლოგიასთან მიმართებაში ნაწილობრივ ამართლებს ჩვენს ჰიპოთეზას. ექსტროვერსიისთვის ტენდენციურია ჰეტეროაგრესიის ყველა ფორმა: ფიზიკური, ირიბი, ვერბალური აგრესია და ნეგატივიზმი. ტიპების მიხედვით სხვაობა დადგინდა t-test-ითა და დისპერსიული ანალიზით, ასევე აშკარად გამოჩნდა აღნიშნული ტენდენცია კორელაციური ანალიზითაც.

რაც შეეხება ინტროვერსიას, მიუხედავად იმისა, რომ ინტროვერტებისთვის წამყვანია აუტოაგრესიის შემდეგი ფორმები: გაღიზიანება და დანაშაულის განცდა, ტიპებს შორის t-test-ით მხოლოდ ერთ ჯგუფში მივიღეთ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გაღიზიანების თვალსაზრისით ინტროვერტების მხარეს, დანაშაულის განცდის მიხედვით კი არა. აღმოჩნდა, რომ დანაშაულის განცდა ზოგადად მაღალია ორივე ტიპისთვის ნორმატიულ მაჩვენებელთან მიმართებაში.

აღნიშნულ კვლევას შესაძლებელია ჰქონდეს ეფექტური გამოყენება ფსიქოდიაგნოსტიკასა და ფსიქოთერაპიაში, რადგან სპეციალისტებს გვექნება კონკრეტული მოლოდინები ტიპებთან აგრესიის პრობლემატიკაზე მუშაობასთან დაკავშირებით.

კვლევას ასევე გამოყენება შეიძლება ჰქონდეს პროფესიული შერჩევის საკითხების გადაწყვეტისას. რადგან ექსტროვერტები უფრო ექსპრესიული და დინამიკური, ხოლო ინტროვერტები ძნელად აგზნებადი და სტატიკური ტიპები არიან, ჩვენ შესაძლოა გვქონდეს კონკრეტული წარმოდგენები მათ საქმიანობასთან, კონკრეტულ საქმეში წარმატება-წარუმატებლობასთან და მათთვის რაიმე საქმიანობის შესატყვისობასთან დაკავშირებით.

ბიბლიოგრაფია:

1. მერაბიშვილი გ. – ზოგადი და იურიდიული ფსიქოლოგია – თბილისი, 1998
2. მერაბიშვილი გ., მერაბიშვილი თ. – ანთროპოანალიზური ფსიქოთერაპია – გამომცემლობა „გლოსა“, თბილისი, 2021
3. დ. უზნაძის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციის თეზისები – „მეცნიერება“, თბილისი, 1999
4. ვლ. ნორაკიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციის თეზისები – „მეცნიერება“, თბილისი, 1999
5. Ильин Е. П. – Психология агрессивного поведения – Питер. 2014
6. Мерабишвили г. – Взаимоотнашение биологического-социального в человеке – Издательство Тбилисского Университета, Тбилиси, 1990